პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№

ქალაქი ქუთაისი ——— ——— მარტი ——— 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის
16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში, კერძოდ:

1.ამოღებული იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხიდან №94; №162; №166; №225; №240; №380; №393; №399; №400; №402 პუნქტები.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს №415-№426 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

პროექტი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2022 წლის მარტი
№ განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნ უ ს ხ ა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი
1	2	3	4	5
415	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქ ქუთაისი, ბუხაიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	300.0	03.04.21.255
416	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №98-ის სამხრეთით	856.0	03.05.23.721
417	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №98-ის სამხრეთით	524.0	03.05.23.723
418	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი №19ბ-ს ჩრდილოეთით	56.0	03.01.24.994
419	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ლომოურის ქუჩა №6-ის სამხრეთით	348.0	03.04.33.154
420	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, თაბუკაშვილის ქუჩა №96ა-ს ჩრდილოეთით	2863.0	03.05.23.722
421	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩა №2ა-ს დასავლეთით	326.0	03.01.24.993
422	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №42ა	6840.0	03.05.22.862
423	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, II შესახვევი, №42ა	6584.0	03.05.22.863
424	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქ ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი N87-ის ჩრდილოეთით	25.0	03.05.28.568

425	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ლეონიძის ქუჩა N6-ის სამხრეთ-აღმოსავლეთით	231.0	03.06.25.749
426	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუკია №21-ის აღმოსავლეთით	1127.0	03.01.24.493

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

განმარტებითი ბარათი

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში აქვს განკარგულების პროექტის დანართში მითითებული უძრავი ქონება. მიზანშეწონილია, განხორციელდეს მათი პრივატიზება ან სარგებლობაში გაცემა. ზემოხსენებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხაში დამატების შემთხვევაში, მათი პრივატიზაციის ან სარგებლობაში გაცემის შემდგომ, მოხდება დამატებითი შემოსავლების მიღება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, განხორციელდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი